ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2913235

ნომერი: AR1448411

თარიღი : 12.10.2016

გაცემის თარიღი : 26.10.2016

გაცნობის თარიღი : 28.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 49-51-51ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი იაშვილი პ/ნ 13001006145
- გურჯაანი ს. ვაზისუბანი მე–10 ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრინის, შესასვლელი კარის ღიობის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. #49-51-51ა–ში, მოქ. თამაზი იაშვილის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრინის, შესასვლელი კარის ღიობის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელებას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.13.06.010.020.01.02.500; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით, ესკიზური ნახაზები, ამხანაგობის კრების ოქმი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზ. #49-51-51ა–ში, მოქ. თამაზი იაშვილის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ვიტრინის, შესასვლელი კარის ღიობის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: იმ შემთხვევაში თუ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები შეეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროებისამებრ კონსტრუქციული ნახაზები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.